

მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა

მუხლი 1. შესავალი

1. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“, „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ და „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის სამოქმედო გეგმას.

2. მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლი მოიცავს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მცენარეთა საკარანტინო და არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების კონტროლს, ლაბორატორიულ გამოკვლევებს, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შემოტანასთან, მარკირებასთან, შენახვასთან, წარმოებასთან (დაფასობასთან), რეალიზაციასთან, გამოყენებასთან დაკავშირებული პირების საქმიანობის კონტროლს, პესტიციდების ხარისხის კონტროლს და შესაფუთი ხის მასალის მარკირების უფლების მქონე პირების კონტროლს.

3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს: ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შესწავლასა და შეფასებას, ქვეყანაში „სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის“ დანერგვას, მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილებას, ქვეყნის მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფას, საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას, შიდა ბაზრის ეფექტიან ფუნქციონირებას.

მუხლი 2. პროგრამის საფუძვლები

1. პროგრამის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია: სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი; FAO-ს „პესტიციდების განაწილებისა და გამოყენების წესების საერთაშორისო კოდექსი“; „როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“; „პესტიციდებისა და

აგროქიმიკატების შესახებ“ საქართველოს კანონი; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; „ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - „ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლის და ნიმუშის აღების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №447 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის-„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №427 დადგენილება; პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 მაისის № 215 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის-„პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შენახვის, ტრანსპორტირების, რეალიზაციისა და გამოყენების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №451 დადგენილება; „იმ ბიზნესოპერატორის აღიარების წესი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მცენარეთა დაცვის სფეროსთან“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №590 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის- „პესტიციდების წვრილი დაფასოების ორგანიზების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №437 დადგენილება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის №2-501 ბრძანება; „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის №2-29 ბრძანება; „ტექნიკური რეგლამენტის „შესაფუთი ხის მასალის რეგულირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №477 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტი „კარტოფილის კიბოს კონტროლის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის №305 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - „სიმინდის დასავლეთის ხოჭოს წინააღმდეგ ბრძოლის წესის“

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 იანვრის №11 დადგენილება;
“კარტოფილის ცისტინი ნემატოდების კონტროლის წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის №302 დადგენილება“, „ტექნიკური რეგლამენტის- „კარტოფილის რგოლური სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 დეკემბრის № 553 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - „კარტოფილის მურა სიდამპლის კონტროლის პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის №602 დადგენილება; „სათესლე კარტოფილის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის №649 დადგენილება; ტექნიკური რეგლამენტის – კარტოფილის რწყილის სახეობების: *Epitrix cucumeris* (Harris), *Epitrix papa* sp. n.; *Epitrix subcrinita* (Lec.) და *Epitrix tuberis* (Gentner) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის – კარტოფილის რწყილის სახეობების: *Epitrix cucumeris* (Harris), *Epitrix papa* sp. n.; *Epitrix subcrinita* (Lec.) და *Epitrix tuberis* (Gentner) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №404 დადგენილება; „საზეთე და საბოჭკოე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 28 ოქტომბრის №648 დადგენილება; „მარცვლეული კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №45 დადგენილება; „ბოსტნეულისა და ბაღყეულის თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №44 დადგენილება; „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივნისის №46 დადგენილება; „შაქრის ჭარხლისა და ცხოველის საკვები ჭარხლის თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №37 დადგენილება; „ხეხილოვანი კულტურების გასამრავლებელი მასალისა და ხილის წარმოებისთვის გამიზნული ნერგების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 იანვრის №40 დადგენილება; „ტექნიკური რეგლამენტის - ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუხას *Anoplophora chinensis* (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 ოქტომბრის №630 დადგენილება;

2. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი განხორციელდება ქიმიური და ბიოლოგიური მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიური საშუალებების მწარმოებელ (დამფასოებელ), შემნახველ საწარმოში, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ქსელში.

3. სახელმწიფო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო თანხები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

მუხლი 3. პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია:

ა) საქართველოში წარმოებული მცენარეების, მცენარეული პროდუქტის საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობის მიზნით, წარმოებისა და დასაწყობების ადგილებში ქვეყანაში არარეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების პრევენციისათვის მათი არსებობის და ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საკარანტინო მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის დადგენა;

ბ) ქვეყნის ტერიტორიაზე მავნე ორგანიზმების მონიტორინგი, მათი მასობრივი გავრცელებით გამოწვეული მცენარის სიჯანსაღის საფრთხისა და სოფლის მეურნეობაში დიდი ეკონომიკური ზარალის თავიდან ასაცილებლად;

გ) პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგულირება მათი მიმოქცევისა და გამოყენებისას. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოების (დაფასოების), შემნახველი და სარეალიზაციო ობიექტების, ბაზარზე განთავსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის, მარკირების სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის განხორციელება მაღალი, ხარისხიანი და უვნებელი მოსავლის მიღების და მოქმედი წესების დარღვევების აღმოფხვრის მიზნით;

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების უფლებამოსილება

1. სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ სააგენტოს უფლებამოსილი პირები.

2. სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65-ე, 72-ე და 74-ე მუხლების საფუძველზე სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოწერს საჯარიმო ქვითარს.

მუხლი 5. საკარანტინო და არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობა და მონიტორინგი

1. „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №463 დადგენილებით დამტკიცებული წესის დანართით №10 განსაზღვრულია საქართველოსათვის საკარანტინო მავნე ორგანიზმების (საქართველოში არარეგისტრირებული და საქართველოში შეზღუდულად გავრცელებული) ნუსხა, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს ფიტოსანიტარიული კონტროლი მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობისას, ასევე ქვეყნის შიგნით, იმპორტიორი ქვეყნებისათვის საკარანტინო მნიშვნელობის მქონე მავნე ორგანიზმებისაგან თავისუფალი ზონების, ქვეყნის ფიტოსანიტარიული მდგომარეობის, დადგენისათვის, რაც ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა მცენარეებითა და მცენარეული პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის განხორციელების პროცესში.

2. საექსპორტო პოტენციალის მქონე მცენარეული პროდუქციის ექსპორტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, იმპორტიორი მხარის ფიტოსანიტარიული მოთხოვნების შესაბამისად, მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში პროდუქციის სახეებისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიური საკარანტინო და სხვა რეგულირებადი მავნე ორგანიზმების გამოსავლენად, ასევე ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასებისათვის განხორციელებული კონტროლისას აღებული ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევები.

3. მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელ, გადამამუშავებელ ან/და დისტრიბუტორ ბიზნესოპერატორთა სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისათვის „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის, „მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის მწარმოებელ, გადამამუშავებელ ან/და დისტრიბუტორ ბიზნესოპერატორთა ვალდებულებებისა და მათი აღრიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №619 დადგენილების, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების

თესლისა და სარგავი მასალის ეტიკეტირების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №336 დადგენილების, „სავალდებულო სერტიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 ივნისის №337 დადგენილების შესაბამისად, ქვეყნის მასშტაბით სანერგე მეურნეობებში ფიტოსანიტარიული მდგომარეობის შეფასების, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთობლივად ინსპექტირებების განხორციელების მიზნით, კვალიფიციური სანერგე მეურნეობების მიერ წარმოებული სარგავი მასალის ჯიშობრივი და ფიტოსანიტარული კონტროლის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში ნიმუშების აღება „საკვალიფიკაციო მოთხოვნები სანერგე მეურნეობისთვის, რომელიც აწარმოებს ხეხილის გასამრავლებელ მასალასა და ნერგებს“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 სექტემბერის №478 დადგენილების დანართი №5-ით განსაზღვრულ საკარანტინო მავნე ორგანიზმებსა და რეგულირებად არასაკარანტინო მავნე ორგანიზმებზე, რომლებისგანაც თავისუფალი უნდა იყოს ის ხეხილის გასამრავლებელი მასალა და ხილის ნერგები, რომლებიც ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნუსხით განსაზღვრულ სახეობებს.

4. წლის განმავლობაში განხორციელდება:

ა) გამოსაკვლევ ზონაში მავნე ორგანიზმების არსებობის დადგენის მიზნით, მონაცემების შეგროვება, გამოკითხვა, საჭიროებისას ნიმუშის აღება;

ბ) მცენარეებისა და მცენარეული წარმოშობის პროდუქტის მოყვანისა და დასაწყობების ადგილებში, საკარანტინო და არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების გამოვლენისა და დიაგნოსტიკისათვის, მონიტორინგი და ზედამხედველობა.

5. საკარანტინო და არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ზედამხედველობის განსახორციელებლად და ქვეყნის ტერიტორიაზე მათი სტატუსის დასადგენად კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ.თბილისის ტერიტორიებზე, დაგეგმილია მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების ნიმუშების აღება, გეგმით გათვალისწინებული მცენარეთა მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული კვლევების (ანალიზის) და დიაგნოსტიკისათვის. გეგმით

გათვალისწინებულია **1060** ერთეული ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევის ჩატარება (დანართი №3.1)

6. მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის გახორციელების პროცესში, ფიტოსანიტარიული რისკების გათვალისწინებით, მცენარეთა სიჯანსაღისთვის საფრთხის შემცველი მავნე ორგანიზმების ან ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენისას გეგმით გათვალისწინებულია მცენარეთა მავნე ორგანიზმების კვლევა, მათი იდენტიფიცირების მიზნით, გეგმით გათვალისწინებულია სავარაუდოდ **70** ლაბორატორიული კვლევა (ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური). დანართი №3.1-ის მიხედვით.

7. კვალიფიციურ სანერგე მეურნეობებში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მომართვის საფუძველზე, მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის მიზნით კახეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ.თბილისის ტერიტორიებზე, სავარაუდოდ ჩატარდება 928 (ლაბორატორიული გამოკვლევა - ენტომოლოგიური, მიკოლოგიური, ვირუსოლოგიური, ბაქტერიოლოგიური ანალიზი, დანართი №3.2 შესაბამისად). კონკრეტული ლაბორატორიული კვლევების რაოდენობები დანართი №3.2 არის სავარაუდო და შეიძლება შეიცვალოს ჯამური ღირებულების ფარგლებში და ერთეული ლაბორატორიული კვლევის ღირებულების უცვლელად.

მუხლი 6. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების კონტროლი

1. წლის განმავლობაში განხორციელდება წარმოების პესტიციდებისა და აგროქიმიკატების დაფასოების, მარკირების, შენახვის, რეალიზაციის და გამოყენების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების შემოწმება (ზედამხედველობა) და პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი - ნიმუშების აღება.

2. 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით აღრიცხულია პესტიციდებისა და აგროქიმიკატების **647** ობიექტი, მათ შორის, უვადო აღიარება მინიჭებული აქვს **646** სარეალიზაციო ობიექტს. 2025 წელს განხორციელდება აღნიშნული ობიექტების რაოდენობის დაზუსტება და კონტროლი: აღიარებულ სარეალიზაციო ობიექტებში გეგმური

ზედამხედველობა ჩატარდება წელიწადში არანაკლებ ერთხელ და დოკუმენტური შემოწმება - საჭიროებიდან გამომდინარე. ასევე, დაინტერესებული ბიზნესოპერატორების მომართვის შემთხვევაში, განხორციელდება კონტროლი აღიარების მინიჭების მიზნით, დაინტერესებული მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე - ნიმუშის აღება და ლაბორატორიული კვლევა. სარეალიზაციო ობიექტების განლაგებიდან გამომდინარე ოპტიმიზირებული იქნება ასაღები ნიმუშების რაოდენობა.

3. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მონიტორინგის გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია:

ა) წინა წლების უხარისხო, ვადაგასული, არარეგისტრირებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოყენებით გამოწვეული მოსავლის დანაკარგების შემთხვევები;

ბ) სააგენტოსათვის მომხმარებლის მიმართვის შემთხვევები;

გ) წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები;

დ) სააგენტოს მიერ საანგარიშო წელს და წინა წლებში განხორციელებული საქმიანობების შედარებითი ანალიზი.

4. ქვეყანაში აკრედიტირებული ლაბორატორია „მულტიტესტი“ ახორციელებს პესტიციდების 96 მოქმედი ნივთიერებისა და აგროქიმიკატების ძირითადი კვებითი მკროლემენტების რაოდენობრივ განსაზღვრას.

5. არარეგისტრირებული, ფალსიფიცირებული, ვადაგასული, გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით, მონიტორინგისას 2025 წელს აღებული და გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების ერთკომპონენტური და ორკომპონენტური პესტიციდების სავარაუდოდ 300 ნიმუში (420 ანალიზი) და ერთკომპონენტური, ორკომპონენტური და სამკომპონენტური აგროქიმიკატების სავარაუდოდ – 40 ნიმუში (75 ანალიზი), სულ, 340 ნიმუში (495 ანალიზი), მათ შორის:

ა) პესტიციდები:

ა.ა) ერთკომპონენტური - 180 ნიმუში (180 ანალიზი);

ა.ბ) ორკომპონენტური - 120 ნიმუში (240 ანალიზი),

ბ) აგროქიმიკატები:

ბ.ა) ერთკომპონენტური (აზოტი - N) – 20 ნიმუში (20 ანალიზი);

ბ.ბ) ორკომპონენტური (აზოტი - N + ფოსფორი - P) – 5 ნიმუში (10 ანალიზი);

ბ.გ) სამკომპონენტანი (აზოტი - N + ფოსფორი - P + კალიუმი - K) – 15 ნიმუში (45 ანალიზი).

მუხლი 7. ინსპექტირება

დაინტერესებული პირების მომართვის შემთხვევაში განხორციელდება მცენარის, მცენარეული პროდუქტისა და სხვა ფიტოსანიტარიული რეგულირებადი ობიექტის ვიზუალური შემოწმება (დახედვა) მავნე ორგანიზმების გამოვლენის ან/და ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპორტისა და რეექსპორტის დროს.

მუხლი 8. მოსალოდნელი შედეგები

1. შესწავლილ იქნება საქართველოს ტერიტორიის ფიტოსანიტარიული მდგომარეობა, საჭიროებისას დროული ფიტოსანიტარიული ზომების დასაგეგმად და ქვეყნიდან მცენარეული პროდუქციის ექსპორტის ხელშესაწყობად.

2. შემოწმებული იქნება პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მწარმოებელი (დამფასოებელი), შემნახველი, სარეალიზაციო ობიექტები და მათი საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

3. გამოვლენილი იქნება ფალსიფიცირებული, არარეგისტრირებული, აკრძალული, ვადაგასული და უვარგისი პესტიციდებითა და აგროქიმიკატების ბაზარზე განთავსების და გამოყენების ფაქტები.

სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში მავნე ორგანიზმებზე ნიმუშების
 ლაბორატორიული კვლევა

№	მცენარეთა მავნე ორგანიზმი	ნიმუშის რაოდენობა, ცალი (სულ 1130)	კვლევის შესრულების ვადები	შენიშვნა
1. მავნებლები (ენტომოლოგიური კვლევა) - 650 ნიმუში;				
1.1	<i>Agrilus planipennis</i> Fainmaire - იფანის ზურმუხტისფერი პეწიანა	50	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა	
1.2	<i>Aleurocanthus woglumi</i> - შავი ფრთათეთრა	50		
1.3	<i>Anoplophora glabripennis</i> - აზიური ხარაბუზა	50		
1.4	<i>Anoplopora chinensis</i> - ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზა	50		
1.5	<i>Aonidiella citrina</i> – ნარინჯოვანთა ყვითელი ფარიანა	20		
1.6	<i>Carposina sasakii</i> - ატმის ნაყოფჭამია	50		
1.7	<i>Ceratitis capitata</i> - ხმელთაშუაზღვის ნაყოფის ბუზი	50		
1.8	<i>Cydia pomonella</i> - ვაშლის ნაყოფჭამია	50		
1.9	<i>Diabrotica virgifera virgifera</i> - სიმინდის დასავლური ხოჭო	50		
1.10	<i>Frankliniella occidentalis</i> - დასავლეთის ყვავილის თრიფსი	50		
1.11	<i>Lopholeucaspis japonica</i> (Cockerell) იაპონური ჩხირისებრი ფარიანა	20		

1.12	Rhagoletis pomonella - ვაშლის ბუზი	40		
1.13	Spodoptera littoralis - ეგვიპტური ბამბის ხვატარი	20		
1.14	Grapholita molesta - აღმოსავლური ნაყოფჭამია	100		
2. ბაქტერიები (ბაქტერიოლოგიური კვლევები) - 170 ნიმუში;				
2.1	Clavibacter michiganensis subsp sependonicus - კარტოფილის რგოლური სიდამპლე	20	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 25 კალენდარული დღისა	
2.2	Erwinia amylovera - ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე	30		
2.3	Pseudomona syringae pv actinidiae - კივის ბაქტერიული სიდამპლე	20		
2.4	Ralstonia solanacearum - კარტოფილის მურა სიდამპლე	20		
2.5	Xanthomonas fragariae - ხენდროს კუთხოვანი ლაქიანობა	20		
2.6	Xylella fastidiosa - პირსის დაავადება (ვაზის ბაქტერიოზი)	30		
2.7	Xylophilus ampelinus - ვაზის ბაქტერიული ჭკნობა	30		
3. ვირუსები(ვირუსოლოგიური კვლევები) - 40 ნიმუში;				
3.1	Peach rosette mosaic virus - ატმის მოზაიკა	15	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა	
3.2	Plum pox poty virus - ქლიავის ჩოფურა (შარკა)	10		
3.3	Citrus tristeza closterovirus - ციტრუსოვანთა ტრისტეზა კლოსტეროვირუსი	15		
4. სოკოები(მიკოლოგიური კვლევები) – 80 ნიმუში;				

4.1	Guignardia citricarpa - ციტრუსოვანთა შავი სიდამპლე	30	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 25 კალენდარული დღისა	
4.2	Synchytrium endobioticum - კარტოფილის კიბო	30		
4.3	Stenocarpella maydis - სიმინდის ტაროს მშრალი სიდამპლე	20		
5. ნემატოდები (ჰელმინთოლოგიური კვლევები) – 120 ნიმუში;				
5.1	Bursaphelenchus xylophilus - ფიჭვის ღეროს ნემატოდა	20	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღისა	
5.2	Ditylenchus destructor – კარტოფილის ღეროს ნემატოდა	20		
5.3	Globodera palida - კარტოფილის მკრთალი ნემატოდა	20		
5.4	Globodera rostochiensis - კარტოფილის ოქროსფერი ნემატოდა	20		
5.5	Meloidogyne chitwoodi - კოლუმბიური მეგალე ნემატოდა	20		
5.6	Meloidogyne fallax - ცრუ კოლუმბიური მეგალე ნემატოდა	20		
6. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენასთან დაკავშირებული კვლევები - 70 ნიმუში				
		კვლევის რაოდენობა		
	ენტომოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, მიკოლოგიური, ჰელმინთოლოგიური, ჰერბოლოგიური კვლევები საჭიროების შემთხვევაში	70		

სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის ფარგლებში მავნე ორგანიზმებზე ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა

№	მცენარეთა მავნე ორგანიზმი	ნიმუშის რაოდენობა, ცალი (სულ (928)	კვლევის სესრულების ვადები	შენიშვნა
1. მავნებლები (ენტომოლოგიური კვლევა) - 84 ნიმუში;				
1.1	Agrilus planipennis	2	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა	
1.2	Aleurocanthus spiniferus	2		
1.3	Aleurocanthus woglumi	2		
1.4	Anastrepha fraterculus	2		
1.5	Anastrepha ludens	2		
1.6	Anoplophora chinensis	2		
1.7	Anoplophora glabripennis	2		
1.8	Anthonomus bisignifer	2		
1.9	Anthonomus signatus	2		

1.10	<i>Aromia bungii</i>	2		
1.11	<i>Bactrocera dorsalis</i>	2		
1.12	<i>Bactrocera tryoni</i>	2		
1.13	<i>Bactrocera zonata</i>	2		
1.14	<i>Carposina sasakii</i>	2		
1.15	<i>Cecidophyopsis ribis</i>	2		
1.16	<i>Chaetosiphon fragaefolii</i>	2		
1.17	<i>Choristoneura</i> spp.	2		
1.18	<i>Conotrachelus nenuphar</i>	2		
1.19	<i>Dasineura tetensi</i>	2		
1.20	<i>Epidiaspis leperii</i>	2		
1.21	<i>Eriosoma lanigerum</i>	2		
1.22	<i>Homalodisca vitripennis</i>	2		
1.23	<i>Lopholeucaspis japonica</i>	2		
1.24	<i>Margarodes vitis</i>	2		
1.25	<i>Naupactus leucoloma</i>	2		
1.26	<i>Oeona hirta</i>	2		
1.27	<i>Phytonemus pallidus</i>	2		
1.28	<i>Pityophthorus juglandis</i>	2		
1.29	<i>Popillia japonica</i>	2		
1.30	<i>Pseudaulacaspis pentagona</i>	2		

1.31	<i>Psylla</i> spp.	2		
1.32	<i>Quadraspidiotus perniciosus</i>	2		
1.33	<i>Resseliella theobaldi</i>	2		
1.34	<i>Rhagoletis fausta</i>	2		
1.35	<i>Rhagoletis indifferens</i>	2		
1.36	<i>Rhagoletis mendax</i>	2		
1.37	<i>Rhagoletis pomonella</i>	2		
1.38	<i>Saperda candida</i>	2		
1.39	<i>Scirtothrips citri</i>	2		
1.40	<i>Scirtothrips dorsalis</i>	2		
1.41	<i>Tetranychus urticae</i>	2		
1.42	<i>Thaumatotibia leucotreta</i>	2		
2. ბაქტერიები (ბაქტერიოლოგიური კვლევები) - 140 ნიმუში;				
2.1	<i>Agrobacterium</i> spp. ბაქტერიული კიბო	10	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 25 კალენდარული დღისა	
2.2	<i>Agrobacterium tumefaciens</i> ბაქტერიული კიბო	25		
2.3	<i>Erwinia amylovora</i> ხეხილის ბაქტერიული სიდამწვრე	20		
2.4	<i>Pseudomonas savastoni</i> pv. <i>savastoni</i> ზეთისხილის კვანძოვანი დაავადება	10		
2.5	<i>Pseudomonas syringae</i> pv. <i>morsprunorum</i> კურკოვნების ბაქტერიული კიბო	10		
2.6	<i>Pseudomonas syringae</i> pv. <i>Syringae</i> ბაქტერიული კიბო	10		
2.7	<i>Rhodococcus fascians</i> ფოთლის ჰიპერპლაზია	10		
2.8	<i>Xanthomonas arboricola</i> pv. <i>Pruni</i> კურკოვნების ფოთლის ბაქტერიული ლაქიანობა	15		

2.9	თხილის ბაქტერიული კიბოს გამომწვევი Pseudomonas syringae pv. avellane	10		
2.10	Xanthomonas arboricola pv. Corylina თხილის ბაქტერიული ჭკნობის გამომწვევი	10		
2.11	Xylella fastidiosa	10		
3. ვირუსები (ვირუსოლოგიური კვლევები) - 170 ნიმუში;				
3.1	Apple chlorotic leaf spot virus ვაშლის ქლოროზული ლაქიანობის ვირუსი	15	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა	
3.2	Apple mosaic virus- ვაშლის მოზაიკური ვირუსი	10		
3.3	Apple stem-grooving virus ვაშლის ღეროს დაღარვის ვირუსი	10		
3.4	Apple stem-pitting virus ვაშლის ორმოსებრი ღეროს ვირუსი	10		
3.5	ვაშლის ქლოროზული ლაქიანობის ვირუსი Apple chlorotic leaf spot virus	15		
3.6	Arabis mosaic virus არაბისის მოზაიკის ვირუსი	10		
3.7	Blueberry scorch virus მოცვის დამწვრობის ვირუსი	5		
3.8	Blueberry shock virus მოცვის შოკის ვირუსი	5		
3.9	Blueberry shoestring virus მოცვის თასმისებრი ვირუსი	5		
3.10	Cherry leaf roll virus ბლის ფოთლის დახვევის ვირუსი	10		
3.11	Cucumber mosaic virus კიტრის მოზაიკის ვირუსი	5		
3.12	Peach rosette mosaic virus - ატმის მოზაიკა	10		
3.13	Plum pox poty virus - ქლიავის ჩოფურა (შარკა)	15		
3.14	Prunus necrotic ringspot virus ქლიავის ნეკროზული რგოლოვანი ლაქიანობის ვირუსი	10		
3.15	Raspberry bushy dwarf virus ჟოლოს ბუჩქოვანი ჯუჯიანობის ვირუსი	5		
3.16	Raspberry ringspot virus ჟოლოს რგოლოვანი ლაქიანობის ვირუსი	5		

3.17	Tobacco ringspot virus თამბაქოს რგოლოვანი ლაქიანობის ვირუსი	10		
3.18	Tomato black ring virus ტომატის შავი რგოლოვანი ლაქიანობის ვირუსი	10		
3.19	მარწყვის ლატენტური რგოლოვანი ვირუსი Strawberry latent ringspot virus	5		
4. სოკოები (მიკოლოგიური კვლევები) - 254 ნიმუში;				
4.1	Apiosporina morbosa - შავი კვანძოვანი კიბო	5	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 25 კალენდარული დღისა	
4.2	Armillaria mellea არმილარიოზი	15		
4.3	Chondrostereum purpureum კურკოვნების ვერცხლისფერი ჭკნობა	10		
4.4	Diaporthe strumella მოცხარის ფომოფსისი	2		
4.5	Diaporthe vaccinii მოცვის ფომოფსისი	5		
4.6	Exobasidium vaccinii მოცვის ფოთლების გალიანობა	5		
4.7	Geosmithia morbida - კაკლის კიბო	10		
4.8	Glomerella cingulata - ანთრაქნოზი	20		
4.9	Godronia cassandrae მოცვის კიბო	5		
4.10	Gymnosporangium spp. - კვიპაროზისებრთა ჟანგა	10		
4.11	Microsphaera grossulariae მოცხარის ნაცარი	2		
4.12	Neofabraea alba ვაშლის ქერქის კიბო	15		
4.13	Neofabraea malicorticis - ვაშლის ანთრაქნოზი	15		
4.14	Neonectria ditissima ვაშლის და მსხლის კიბო	15		
4.15	Peronospora rubi მაცვლის ჭრაქი	5		
4.16	Phyllosticta solitaria -ვაშლის ლაქიანობა	15		
4.17	Phymatotrichopsis omnivora - ფესვის ტეხასური სიდამპლე	10		

4.18	Phytophthora cactorum ვაშლის ფესვის ლპობა	15		
4.19	Phytophthora cambivora ტყის ჯიშების ფესვების ლპობა	5		
4.20	Phytophthora cryptogea პომიდვრის ფესვის ლპობა	5		
4.21	Phytophthora ramorum - მუხის ფიტოფტოროზი	15		
4.22	Phytophthora sp. ფიტოფტოროზი	5		
4.23	Rosellinia necatrix ფესვის თეთრი სიდამპლე	5		
4.24	Sclerophora pallida - ივნის სკლეროფორა	5		
4.25	Verticilium albo-atrum ვერტიცილიოზური ჭკნობა	15		
4.26	Verticillium dahliae ვერტიცილიოზური ჭკნობა	20		
5. ნEMATოდები (ჰელმინთოლოგიური კვლევები) – 145 ნიმუში;				
5.1	Aphelenchoides besseyi ბრინჯის ნემატოდა	5	ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღისა	
5.2	Aphelenchoides blastophorus აფელენხოიდეს ბლასტოფორუსი	5		
5.3	Aphelenchoides fragariae მარწყვის აფელენხოიდესი	5		
5.4	Aphelenchoides ritzemabosi ქრიზანთემას ფოთლის ნემატოდა	5		
5.5	Ditylenchus dipsaci ღეროს ნემატოდა	5		
5.6	Meloidogyne arenaria არაქისის გალიანი ნემატოდა	10		
5.7	Meloidogyne fallax კოლუმბიის გალებიანი ფესვის ნემატოდა	5		
5.8	Meloidogyne hapla ჩრდილოეთის გალიანი ნემატოდა	10		
5.9	Meloidogyne incognita - სამხრეთის გალიანი ნემატოდა	10		
5.10	Meloidogyne incognita სამხრეთის გალიანი ნემატოდა	5		
5.11	Meloidogyne javanica იავური გალიანი ნემატოდა	20		

5.12	Pratylenchus penetrans ფესვის დაზიანების ნემატოდა	20		
5.13	Pratylenchus vulnus კაკლის ფესვის დაზიანების ნემატოდა	20		
5.14	Xiphinema americanum ამერიკული ხანჯლიანი ნემატოდა	20		
6. ფიტოპლაზმების იდენტიფიკაცია – 35 ნიმუში;			ნიმუშის ჩაბარებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა	
6.1	Candidatus Phytoplasma asteris	5		
6.2	Candidatus Phytoplasma mali	5		
6.3	Candidatus Phytoplasma pruni	5		
6.4	Candidatus Phytoplasma prunorum	5		
6.5	Candidatus Phytoplasma pyri	5		
6.6	Candidatus Phytoplasma rubi	5		
6.7	Candidatus Phytoplasma solani	5		
7. მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდის, ახალი მავნე ორგანიზმის გამოჩენასთან დაკავშირებული კვლევები -100 ნიმუში				
		კვლევის რაოდენობა		
	ენტომოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, მიკოლოგიური, ჰელმინთოლოგიური კვლევები საჭიროების შემთხვევაში	100		